**ნასყიდობის ხელშეკრულება №**

**ქ. თბილისი** **”------” --------2019 წელი**

**ერთის მხრივ** სს “საქართველოს რკინიგზა” (შემდგომში ,,გამყიდველი”), მის: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15 ს.კ. 202886010, წარმოდგენილი მისი სატვირთო გადაზიდვების დირექტორის გურამ გურამიშვილის სახით

**მეორეს მხრივ** ---------- (შემდგომი ”მყიდველი”) წარმოდგენილი მისი ------- სახით, მის: ---------- ს.კ. ----------

სს ”საქართველოს რკინიგზის” დირექტორთა საბჭოს 2019 წლის ------ №--- დადგენილების, სს ”საქართველოს რკინიგზის” სამეთვალყურეო საბჭოს 2019 წლის ---------- №---------- სხდომის ოქმის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. ,,გამყიდველი“ გადასცემს „მყიდველს“ საკუთრების უფლებას შემდეგ ქონებაზე:

- 733 ერთეული, სატვირთო ვაგონის ექსპლუატაციისათვის უვარგისი, ურიკის გვერდითი ჩარჩო.
- 414 ერთეული, სატვირთო ვაგონის ექსპლუატაციისათვის უვარგისი, ურიკის რესორზედა ძელი.

1.2. ქონების მახასიათებლები (ადგილმდებარეობა, ნომრული სია, აშენების წლები) წარმოდგენილია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი 1-ის სახით.

**2. ხელშეკრულების ფასი**

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ---------- აშშ დოლარს (----------) (დღგ-ს ჩათვლით);

2.2. „დღგ“ მყიდველმა უნდა გადაიხადოს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

**3. ანგარიშსწორების პირობები**

3.1. მყიდველი ვალდებულია სრულად გადაიხადოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნასყიდობის ფასი ( დღგ-ს ჩათვლით, ”ბე-ს” თანხის ------ ლარის -აუქციონის ჩატარების დღისთვის არსებული კურსით ---------- აშშ დოლარის გამოკლებით), ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გადახდის დღისთვის დადგენილი ლარის აშშ დოლართან გაცვლითი კურსის შესაბამისად, ,,გამყიდველის“ შემდეგ საანგარიშსწორებო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით:

**ეროვნულ ვალუტაში** - ს/ს ,,საქართველოს ბანკი“

ბანკის კოდი: **BAGAGE22**;

ანგარიშის ნომერი: **GE09BG0000000128695301**

მიმღები: სს „საქართველოს რკინიგზა“

3.2 საგადასახადო კანონმდებლობის დაცვის მიზნით, გამყიდველი „რეზიდენტ“ მყიდველს გამოუწერს საგადასახადო ანგარიშფაქტურას (ავანსის და მიწოდების) ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, აუქციონის ჩატარების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აშშ დოლარის მიმართ დადგენილი კურსების შეწონვის შედეგად მიღებულ თანხაზე.

3.3 ”მყიდველის” მიერ ”ბე”-ს (საგარანტიო თანხის) სახით გადახდილი თანხა (--- ლარი, აუქციონის ჩატარების დღისთვის არსებული კურსით ----- აშშ დოლარი, ჩაითვლება ნასყიდობის ფასში;

**4. საკუთრების უფლების გადასვლა**

,,გამყიდველი“ ,,მყიდველი“

_____ _____

4.1. შეძენილ ქონებაზე ”მყიდველი” საკუთრების უფლებას იძენს ხელშეკრულების საერთო ღირებულების სრულად გადახდისა და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

4.2. ,,გამყიდველის“ მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილია კომისია, რომელიც შეიქმნება შესაბამისი ბრძანების საფუძველზე.

4.3. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერასთან ერთად მყიდველზე გადადის ნივთის დაკარგვის, შემთხვევითი დაღუპვის ან გაფუჭების რისკი.

**5. მხარეთა ვალდებულებები**

5.1. ”გამყიდველი” ვალდებულია ”მყიდველს” ეტაპობრივად გადასცეს წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 პუნქტში განსაზღვრული ქონება, ამ უკანასკნელის მხრიდან ნასყიდობის ფასის სრულად გადახდის შემდეგ;

**5.2.** „მყიდველი“ ვალდებულია, რეალიზებული ქონების გადაცემის შესახებ „გამყიდველის“ შეტყობინების მიღებიდან, 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში გამოცხადდეს შეტყობინებაში მითითებულ ადგილზე და ჩაიბაროს შეძენილი ქონება (აღნიშნულის შესახებ 1 სამუშაო დღით ადრე შეატყობინოს ,,გამყიდველს“), მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 20 კალენდარული დღის ვადაში კი უზრუნველყოს სს „საქართველოს რკინიგზის“ ტერიტორიდან გატანა. შეტყობინებიდან 10 დღის ვადაში შეტყობინებაში მითითებულ ადგილზე ,,მყიდველის“ გამოუცხადებლობის ან მისი მიზეზით მიღება-ჩაბარების აქტის გაუფორმებლობის შემთხვევაში 20 დღიანი ვადის ათვლა დაიწყება შეტყობინებიდან მე-11 დღეს.

**5.3.** „მყიდველისთვის“ შეტყობინებებისა და სხვა ოფიციალური კორესპონდენციის გაგზავნა ხორციელდება შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე: ---------- და ჩაბარებულად ითვლება მეილის გაგზავნის დღიდან;

**5.4.** ,,მყიდველი“ ვალდებულია უზრუნველყოს ქონების საკუთარი ხარჯით გატანა (დატვირთვა-გადმოტვირთვა და ტრანსპორტირება);

**6. მხარეთა პასუხისმგებლობა**

6.1. წინამდებარე ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ,,მყიდველს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1 %-ის ოდენობით. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ვადაგადაცილებულ დღეთა რაოდენობა გადააჭარბებს 30 კალენდარულ დღეს, „გამყიდველი“ უფლებამოსილია უარი თქვას/შეწყვიტოს ნასყიდობის ხელშეკრულება, რა შემთხვევაშიც მყიდველს არ დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი „ბე“-ს თანხა.

6.2. წინამდებარე ხელშეკრულების 5.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში მყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო, ქონების სარეალიზაციო ღირებულების 0.1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

**7. დავის გადაწყვეტა**

**7.1.** მხარეები ეცდებიან ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა გადაჭრან ურთიერთმოლაპარაკების გზით;

**7.2.** შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ საქართველოს სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

**8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

**8.1.** ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

**9. სხვა პირობები**

| | |
|---|---|
| ,,გამყიდველი“ | ,,მყიდველი“ |
| _____ | _____ |

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში კომუნიკაცია, ან ნებისმიერი ოფიციალური კორესპონდენციის გაცვლა შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე სამუშაო დღეებში, 09:00 საათიდან 18:00 საათამდე:

,,მყიდველი“ - ----------

,,გამყიდველი“ – ----------

თითოეული მხარე ვალდებულია ელექტრონული მისამართების ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს მეორე მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მითითებულ ელექტრონულ მისამართზე გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად.

9.2. თითოეული მხარე ვალდებულია მკაცრად დაიცვას ხელშეკრულების პირობები;

9.3. ხელშეკრულების განსაზღვრული პირობების დარღვევით მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

9.4. ხელშეკრულების ადმინისტრატორად განისაზღვრება ----------

9.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

9.6. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

**მხარეთა რეკვიზიტები**

| ”გამყიდველი” | ”მყიდველი” |
|---|---|
| **სს ,,საქართველოს რკინიგზა”**<br><br>ს/კ 202886010 | |

,,გამყიდველი“ ,,მყიდველი“

_____ _____